

აბსტრაქტი:

კლიმატის ცვლილება გავლენას ახდენს ყველა ქვეყანასა და ეკონომიკურ დარგზე, მათ შორის, სოფლის მეურნეობაზე, მაგრამ უფრო მეტად ეხება მარგინალურ და მოწყვლად ჯგუფებს, მათ შორის, ქალებს, რაც კიდევ უფრო აღრმავებს სოციალურ უთანასწორობას. საქართველო კლიმატის ცვლილების მიმართ, თავისი ბევრი რისკ-ჯგუფით, ერთ-ერთი მოწყვლადი ქვეყანაა. ამ ჯგუფებს სოფლად მცხოვრები ქალებიც მიეკუთვნებიან, რომელთა ერთ-ერთი მთავარი საქმიანობა მცირე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაა. სტატია ცდილობს, გორის მუნიციპალიტეტში ჩატარებული თვისებრივი კვლევის საფუძველზე, გამოკვეთოს სოფლად მცხოვრები ქალების დაკვირვებები კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით, გამოწვევები, რომელთა წინაშეც ამ ცვლილებების გამო აღმოჩნდნენ ქალები, და მათთან ადაპტაციის მეთოდების შედეგიანობა. კვლევის თანახმად, კლიმატის ცვლილება ქალების შრომას მნიშვნელოვნად ზრდის, მაშინ, როდესაც ისინი ისედაც მრავალ ხილულ თუ უხილავ შრომას ეწევიან სოფელში. ქალებს კი, კლიმატის ცვლილების გამოწვევებთან ეფექტიანად გასამკლავებლად, საკმარისი რესურსები არ აქვთ.

ავტორი: მარიამ დევიძე

ხილული თუ უხილავი: კლიმატის ცვლილება და სოფლად მცხოვრები ქალების შრომა

შესავალი

კლიმატის ცვლილება გლობალური პრობლემაა, რომელიც მრავალი გამოწვევის წინაშე აყენებს მსოფლიოს ყველა ქვეყანას. მასზე ანთროპოგენული ფაქტორები, ანუ ადამიანის საქმიანობა ახდენს გავლენას.¹ სოფლის მეურნეობა ადამიანის ერთ-ერთი საქმიანობაა, რომელიც ცვლის კლიმატს, თუმცა ამავე დროს, ამ ცვლილების მიმართ ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ეკონომიკური დარგაცაა.² კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელის (IPCC-ის) მიხედვით, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული შედეგები აფერხებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობების წარმოებასა და წყლის მიწოდებას, რაც აისახება საკვების უზენებლობის, ხელმისაწვდომობისა და ფასის შენარჩუნების საკითხებზე.³ მსოფლიოში მნიშვნელოვნად შეიცვლება საკვების წარმოების პროცესი⁴, ეს ცვლილება კი უფრო გაურკვეველი და არაპროგნოზირებადი გახდება.⁵ აღსანიშნავია, რომ კლიმატის შეცვლაში მთავარი წვლილი მდიდარ ქვეყნებსა და მოსახლეობას მიუძღვით⁶, მაშინ როცა მისი მავნე

¹ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, (2007) [კლიმატის ცვლილების ექსპერტთა სამთავრობათაშორისო ჯგუფის მე-4 შეფასებითი ანგარიში](#), რეზიუმე პოლიტიკის გამტარებლებისთვის.

² Clapp, J., Newell, P., & Brent, Z. W. (2018). The global political economy of climate change, agriculture and food systems. *The Journal of Peasant Studies*, 45(1), 80-88.

³ Intergovernmental Panel on Climate Change (IPCC), (2014). [Climate Change: Impacts, Adaptation and Vulnerability](#).

⁴ Bryant, Christopher R., Kenel Delusca, and Mamadou Adama Sarr. 2016. Introduction. In *Agricultural Adaptation to Climate Change*. Edited by Christopher R. Bryant, Mamadou A. Sarr and Kenel Delusca. London: Springer, pp. 1–10.

⁵ Torquebiau, Emmanuel, Jose Tissier, and Jean-Yves Grosclaude. 2015. How Climate Change Reshuffles the Cards for Agriculture. In *Climate Change and Agriculture Worldwide*. Edited by Emmanuel Torquebiau. London: Springer, pp. 1–16.

⁶ IEA, (2011), *CO₂ emissions from fuel combustion*, International Energy Agency.

შედეგები ღარიბ ქვეყნებსა (მათ შორის, საქართველოსაც) და მოსახლეობის მარგინალურ და მოწყვლად ჯგუფებს უფრო აზარალებს⁷, და მათ შორის ქალებიც არიან.⁸ ამის შედეგად კი სოციალური და გლობალური უთანასწორობა კიდევ უფრო მწვავედება.⁹

დოკუმენტის, „საქართველოს მესამე ეროვნული შეტყობინება გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მიმართ“, მიხედვით, საქართველოში კლიმატის ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკოსისტემებზე, მოსახლეობასა და ეკონომიკურ დარგებზე, რომელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი დარგია სოფლის მეურნეობა. კლიმატის ცვლილების შედეგად ქვეყნის სხვადასხვა არეალში მიმდინარეობს ნიადაგის ეროზია (გამოფიტვა), მავნე მწერებისა და მცენარეების დაავადებების გავრცელება, ვეგეტაციის პერიოდების ცვლილება, ტემპერატურის, სეტყვების, ძლიერი ქარებისა და გვალვების მატება. ყოველივე ეს უარყოფითად აისახება სოფლის მეურნეობასა და საკვების წარმოებაზე.¹⁰

სტატისტიკის სამსახურის თანახმად, 2019 წელს საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილმა მხოლოდ 7.4% შეადგინა, თუმცა ამ სექტორში ჩართულია ქვეყანაში დასაქმებული ადამიანების დაახლოებით 40%, რომელთა უმრავლესობაც საკუთარ მცირე მეურნეობას მისდევს. სოფლად მცხოვრები მოსახლეობის 75% თვითდასაქმებულია, ძირითადად, სოფლის მეურნეობის სექტორში.¹¹ გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ანგარიშის მიხედვით, თვითდასაქმებული ქალების 59% წვრილ საოჯახო ფერმერულ მეურნეობაშია ჩართული, და მათი შრომა აუნაზღაურებელი რჩება.¹² იმის გათვალისწინებით, რომ კლიმატის ცვლილება მნიშვნელოვნად ზემოქმედებს სოფლის მეურნეობის სექტორზე, საინტერესოა, როგორ აისახება ეს სოფლად მცხოვრებ და სასოფლო-მეურნეობაში ჩართულ ადამიანებსა და მათ შრომაზე. უფრო კონკრეტულად კი ქალებზე, ვინაიდან, მათი დიდი ნაწილი მცირე მეურნეობებშია ჩართული და ხშირად პასუხისმგებელია ოჯახის საკვების წარმოებაზე. წინამდებარე სტატია შეეცდება, თეორიული და ემპირიული ინფორმაციის

⁷ 1) Hemmati, M., & Röhr, U. (2009). Engendering the climate-change negotiations: experiences, challenges, and steps forward. *Gender & Development*, 17(1), 19-32.

2) Okereke, C., & Schroeder, H. (2009). How can justice, development and climate change mitigation be reconciled for developing countries in a post-Kyoto settlement?. *Climate and Development*, 1(1), 10-15.

⁸ 1) Habtezion, S. (2013). Overview of linkages between gender and climate change. *Policy Brief. United Nations Development Programme, New York*, 20.

2) Goh A H (2012) A literature review of the gender-differentiated impacts of climate change on women's and men's assets and well-being in developing countries. International Food Policy Research Institute, CAPRI Work. <https://doi.org/10.2499/CAPRIWP106>. Accessed 20th July 2017

⁹ Diffenbaugh, N. S., & Burke, M. (2019). Global warming has increased global economic inequality. *Proceedings of the National Academy of Sciences*, 116(20), 9808-9813.

¹⁰ გაეროს განვითარების პროგრამა, (2015), [საქართველოს მესამე ეროვნული შეტყობინება გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მიმართ](#).

¹¹ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2019, [საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021 – 2027](#).

¹² გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), 2018, [გენდერი, სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება, ქვეყნის გენდერული შეფასების სერია](#), რომი.

მეშვეობით გააანალიზოს ეს საკითხები და ამ კუთხით არსებული ძირითადი ტენდენციები, გორის მუნიციპალიტეტის (სოფელ ქვემო ნიქოზის) მაგალითზე გამოკვეთოს.

თეორიული მიმოხილვა

სოციალურ-ეკონომიკური თუ ძალაუფლებრივი მიზეზების გამო, კლიმატის ცვლილების მიმართ ქალები უფრო დაუცველები არიან, ვიდრე კაცები.¹³ სხვადასხვა კულტურაში ქალების სასოფლო-სამეურნეო შრომა აღიარებულია როგორც აუცილებლობა, თუმცა ძირითადად უხილავი და შენიღბულია, რადგან მეტწილად მათი პირადი საქმიანობისა და ოჯახზე მზრუნველობის ველს მიეწერება.¹⁴ ამიტომ, მათი ამ ტიპის შრომა საჯარო საქმიანობად ნაკლებად ტრანსფორმირდება, ის უფრო „შუალედურ სივრცედ“ რჩება პირად და საჯარო საქმიანობას შორის, რის გამოც ქალებს ფერმერების სტატუსი ნაკლებად მიეწერებათ.¹⁵

ზოგადად, კლიმატის ცვლილება ქალებისა და კაცების შრომას კიდევ უფრო ართულებს, რადგან მათ სულ უფრო დიდი ძალისხმევითა და რესურსების გაღება უწევთ სასოფლო წარმოებაში. თუმცა, საბოლოოდ ეს ქალებზე უფრო მეტად აისახება, რადგან ქალებს, კაცებთან შედარებით, ხშირ შემთხვევაში უფრო ნაკლები ინფორმაცია, რესურსები, ქონება და უფლებები აქვთ.¹⁶ ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რაც სოფლის მეურნეობაში ქალების შრომას არასათანადოდ წარმოაჩენს და მას უფრო მეტად უხილავს ხდის, მიწის ფლობის საკითხია. ის ერთგვარი ბარიერიცაა ქალებისთვის სოფლის მეურნეობაში სხვადასხვა დონეზე ჩასართავად.¹⁷ გარდა ამისა, რადგან საოჯახო საქმეს ძირითადად ქალები ასრულებენ, მათი საქმიანობა კი დამოკიდებულია წყლისა და საკვების გამოყენებაზე, კლიმატის ცვლილების შედეგადაც, ამ რესურსების კლება პირველ რიგში სწორედ მათზე აისახება. მაღალი რისკის წინაშე, განსაკუთრებით, სოფლად მცხოვრები ქალები დგანან.¹⁸ ერთი მხრივ, ბავშვების მოვლა და საოჯახო საქმიანობის გაძღოლა, მეორე მხრივ, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა უმეტესად

¹³ Glazebrook, T., Noll, S., & Opoku, E. (2020). Gender matters: Climate change, gender bias, and women's farming in the global South and North. *Agriculture*, 10(7), 267.

¹⁴ Tibesigwa, B., Visser, M., Hunter, L., Collinson, M., & Twine, W. (2015). Gender differences in climate change risk, food security, and adaptation: a study of rural households' reliance on agriculture and natural resources to sustain livelihoods.

¹⁵ Sheridan, Alison, and Fiona Haslam-McKenzie. 2009. *Revisiting Missed Opportunities: Growing Women's Contribution to Agriculture*. Canberra: Rural Industries Research and Development (RIRDC) Publication 09/083

¹⁶ 1) Antonopoulos, R., & Floro, M. S. (2005). Asset ownership along gender lines: Evidence from Thailand. *The Levy Economics Institute of Bard College Working Paper*, (418).

2) Quisumbing, A. R. (2010). Do men and women accumulate assets in different ways. *Evidence from rural Bangladesh. Background paper prepared for the FAO State of Food and Agriculture*.

¹⁷ Alston, M., Clarke, J., & Whittenbury, K. (2018). Contemporary feminist analysis of Australian farm women in the context of climate changes. *Social Sciences*, 7(2), 16.

¹⁸ 1) Jost, C., Kyazze, F., Naab, J., Neelormi, S., Kinyangi, J., Zougmore, R., & Nelson, S. (2016). Understanding gender dimensions of agriculture and climate change in smallholder farming communities. *Climate and Development*, 8(2), 133-144.

2) Nellemann, C., Verma, R., & Hislop, L. (2011). *Women at the frontline of climate change: Gender risks and hopes: A rapid response assessment*. United Nations Environment Program, GRID-Arendal.

ქალებს უწევთ, რადგან კაცები უფრო მეტად სოფლის გარეთ საქმდებიან.¹⁹ არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ ხშირად ქალებს უფრო მოჰყავთ კლიმატის მიმართ მოწყვლადი მარცვლეული, ვიდრე კაცებს. ამასთან ერთად, ქალები, უმეტეს შემთხვევაში, საოჯახო მეურნეობების მართვის საკითხებში გადაწყვეტილების მიმღები პირები არ არიან.²⁰

კლიმატის ცვლილებისა თუ ნებისმიერი საკითხის ჭრილში ქალებზე საუბრისას, მნიშვნელოვანია გენდერული უთანასწორობის გათვალისწინება. ისტორიულად ძალაუფლებრივი ველი მასკულინურია.²¹ აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ, რომ ქალებს და კაცებს, თუნდაც კლიმატის ცვლილებების შედეგებთან საბრძოლველად, განსხვავებული ძალაუფლების ველებიდან და პოზიციებიდან უწევთ ბრძოლა.²² კლიმატის ცვლილების პროცესებთან დაკავშირებული თანამედროვე ფემინისტური თეორიების კრიტიკა მნიშვნელოვანია, რადგან ის ყურადღებას სწორედ ამ ისტორიულ უთანასწორობაზე ამახვილებს, თუნდაც სოფლის მეურნეობისა და კლიმატის ცვლილების შედეგების ჭრილში. ამ მიდგომის თანახმად, კლიმატისა და წყლის მიმდინარე პოლიტიკებს არ აქვთ საკმარისი გენდერული მენსტრინგი²³, რაც ხელს ვერ უწყობს ქალების შრომის უხილავობის გადალახვას და ქალებისა და კაცებისთვის თანაბარი კეთილდღეობის მიღწევას.²⁴

ისიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ქალები მხოლოდ მოწყვლადი ჯგუფი კი არაა, არამედ მნიშვნელოვანი ცოდნა და პოტენციალიც გააჩნიათ კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისათვის და მის მიმართ საკუთარი თემების მოწყვლადობის შესამცირებლად. ასევე, სოფლად მცხოვრები ქალების ყოველდღიურობა მჭიდროდაა დაკავშირებული გარემოსთან და ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან²⁵, ამიტომ მათი ცოდნის გათვალისწინება მნიშვნელოვანია ადაპტაციის პოლიტიკის შემუშავებისას. ქალების ხელშეწყობითა და რესურსებზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფის შემთხვევაში, ბევრი გამოწვევის

¹⁹ 1) Kakota, T., Nyariki, D., Mkwambisi, D., & Kogi-Makau, W. (2011). Gender vulnerability to climate variability and food insecurity. *Climate and Development*, 3, 298–309.

2) Doss, C. (2011). *If women hold up half the sky, how much of the world's food do they produce?* (ESA Working Paper No. 11-04). Rome: Food and Agriculture Organization of the United Nations (FAO).

²⁰ Carr, E. R., & Thompson, M. C. (2014). Gender and climate change adaptation in agrarian settings: Current thinking, new directions, and research frontiers. *Geography Compass*, 8(3), 182-197.

²¹ Knuttila, Murray. 2016. *Paying for Masculinity: Boys, Men and the Patriarchal Dividend*. Nova Scotia: Fernwood Publishing.

²² Shortall, Sally. 2006. Gender and Farming: An Overview. In *Rural Gender Relations: Issues and Case Studies*. Edited by Bettina B. Bock and Sally Shortall. Oxfordshire: CABI Publishing, pp. 19–26.

²³ გენდერული მენსტრინგი არის „სტრატეგიული გრძელვადიანი მიდგომა, რომელიც ნერგავს გენდერულ თანასწორობას სისტემებში, სტრუქტურებში, ინსტიტუტებში, პროგრამებში, პოლიტიკასა და პრაქტიკაში“. წყარო: [ევროკომისია](#)

²⁴ Alston, M., Clarke, J., & Whittenbury, K. (2018). Contemporary feminist analysis of Australian farm women in the context of climate changes. *Social Sciences*, 7(2), 16.

²⁵ Resurrección, B. P. (2013, September). Persistent women and environment linkages in climate change and sustainable development agendas. In *Women's Studies International Forum* (Vol. 40, pp. 33-43). Pergamon.

გადალახვა შეიძლება, მათ შორის, საკვების უზენებლობის გაზრდა²⁶, შიმშილის შემცირება²⁷ და სხვ. აუცილებელია, რომ ქალების მხარდაჭერა ჩანდეს და იგრძნობოდეს ყველა სფეროში: პოლიტიკა, განათლება, ჯანდაცვა, სოციალური დაცვა და ა.შ.²⁸ გენდერული სამართლიანობის მიღწევა მხოლოდ უფლებრივ კრილში არ უნდა აღიქმებოდეს, რადგან ეს ქვეყნების ვალდებულებაცაა, კლიმატის ცვლილებების მიმართ თემების მედეგობის გასაძლიერებლად და ზიანის შესამცირებლად.²⁹

სტატიაში შემოთავაზებული ემპირიული კვლევის ანალიზი, დაეფუძნება, ერთი მხრივ, სოფლის მეურნეობებში ჩართული ქალების შრომის უხილავობის თეორიასა და ჰიპოთეზას; მეორე მხრივ, იმ მიდგომას, რომ კლიმატის ცვლილება მნიშვნელოვნად ზრდის ქალების შრომას, ადაპტაციის მეთოდების გამოყენება კი შესაძლებელს ხდის ქალების დატვირთვის შემსუბუქებას ან მათი შრომის პროდუქტიულობის გაზრდას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგის გამოწვევები

სასოფლო-სამეურნეო წარმოება კლიმატურ პირობებზეა დამოკიდებული. „აგროკლიმატური ზონების ცვლილება ტემპერატურის მატებისა და ნალექების ცვლილების ფონზე, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ერთ-ერთი ყველაზე მაღალი რისკია სოფლის მეურნეობის სექტორისათვის“.³⁰ კლიმატის პროგნოზირებული ცვლილება მნიშვნელოვნად ზრდის სექტორის პროდუქტიულობასა და განვითარების რისკებს, ასევე, ნეგატიურად აისახება ამ სექტორში ჩართული ადამიანების ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობაზე. „კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმა სოფლის მეურნეობის სექტორისთვის“, მიხედვით, კლიმატის პროგნოზირებული ცვლილების შედეგად შემცირდება უმეტესი კულტურების მოსავლიანობა, ძირითადად, გვალვების, ძლიერი ქარების, არათანაზომიერად გადანაწილებული ნალექების, სეტყვიანი დღეების და თბური ტალღების მატების შედეგად.³¹ კლიმატის ცვლილება ასევე განაპირობებს ნიადაგების დეგრადაციას, ეროზიას, გამოფიტვას და, შესაბამისად, პროდუქტიულობის დაცემას,³² რაც უშუალოდ აისახება სოფლის

²⁶ Carvajal-Escobar, Y., Quintero-Angel, M., & Garcia-Vargas, M. (2008). Women's role in adapting to climate change and variability.

²⁷ FAO (2011). Global Food Losses and Food Waste - extent, causes and prevention. Rome, Food and Agriculture Organization of the United Nations.

²⁸ Glazebrook, T., Noll, S., & Opoku, E. (2020). Gender matters: Climate change, gender bias, and women's farming in the global South and North. *Agriculture*, 10(7), 267.

²⁹ Tschakert, P., & Machado, M. (2012). Gender justice and rights in climate change adaptation: Opportunities and pitfalls. *Ethics and Social Welfare*, 6(3), 275-289.

³⁰ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, (2017) [კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმა სოფლის მეურნეობის სექტორისთვის](#), გვ. 10.

³¹ იგივე.

³² მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის (WEG), (2016), [კლიმატის ცვლილება და მდგრადი განვითარება](#), სალექციო მასალების კრებული.

მეურნეობასა და საკვების წარმოებაზე. საქართველოში ნიადაგის ეროვნული პროცესი, 1990-იანი წლების პოლიტიკურ-ეკონომიკური ცვლილებების გამო საირიგაციო სისტემის მოშლამ და ენერგეტიკულმა კრიზისის შედეგად ტყის მასივებისა და ქარსაფარი ზოლების განადგურებამ გააღრმავა.³³

საქართველოში სოფლის მეურნეობა მრავალი გამოწვევის წინაშე დგას, რაც მას კლიმატის ცვლილებისადმი კიდევ უფრო მოწყვლადს ხდის. „საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020“ გამოყოფს სექტორის შემდეგ პრობლემებს: ნაკლებად დივერსიფიცირებული სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, მისი დაბალი პროდუქტიულობა; არასათანადოდ განვითარებული (მათ შორის, სარწყავი) ინფრასტრუქტურა, საძოვრების სიმცირე, წყლის დაბინძურება და ნარჩენების მართვის მოუწყვრებელი სისტემა და ა.შ.³⁴ „საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021 – 2027“-ში ნათქვამია, რომ ფერმერებში დაბალია გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მისაღები სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკების შესახებ ცოდნის ნაკლებობა, არაეფექტიანად გამოიყენება ბუნებრივი რესურსები და ცუდად არის განვითარებული სოფლის ისეთი ინფრასტრუქტურა, როგორიცაა ბუნებრივი კატასტროფებისადმი მზადყოფნის და განგაშის სისტემები, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისაზე და გადამუშავებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა.³⁵

პრობლემურია ისიც, რომ კლიმატთან და გარემოსთან დაკავშირებული ცვლილებების ფონზე, სახელმწიფო არ ახდენს ორგანული წარმოების პროდუქტების პრიორიტეტიზაციას.³⁶ საყურადღებოა, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის პრობლემები სოფლის მეურნეობის დარგში. თანამედროვე კლიმატის ცვლილების მიმართ დაუცველობის შეფასების თანამედროვე მექანიზმების გამოყენებასა და ადაპტაციის ზომების დაგეგმვაში თავს იჩენს გამოცდილების ნაკლებობა. ასევე, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მათი გამოყენების გამოცდილების სიმცირე მნიშვნელოვნად ზღუდავს სექტორში ადაპტაციის გზების არჩევანის არეალს.³⁷ სოფლის მეურნეობაზე კლიმატის ცვლილების გავლენის შეფასების კუთხით, შედარებით მწირია ინფორმაცია მის ზემოქმედებაზე მეცხოველეობის სექტორსა და სარწყავ წყალზე ხელმისაწვდომობაზე, იმის ფონზე, რომ წყალზე იზრდება მოთხოვნილება, ხოლო მდინარეებში ჩამონადენი მცირდება.³⁸

³³ იგივე.

³⁴ ევროკავშირი საქართველოსთვის, (2016), სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა (ENPARD), [საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020](#).

³⁵ წყარო №11.

³⁶ ბერაია ა., (2019), [ქალთა ეკონომიკური გაძლიერება სოფლის მეურნეობის განვითარების კონტექსტში](#), საქართველოს ახალგაზრდა მწვანეები.

³⁷ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი (2017), [საქართველოს სოფლის მეურნეობის ადაპტაციის ეროვნული გეგმის მომზადების ხარვეზებისა და საჭიროებების ანალიზი](#).

³⁸ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი (2017), [კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმა სოფლის მეურნეობის სექტორისთვის](#).

კლიმატის ეროვნული დოკუმენტების³⁹ მიხედვით, 2015 წელს სოფლის მეურნეობის სექტორზე სათბურის აირების ემისიების დაახლოებით 19% (3,309 კტ CO₂ ეკვ.) მოდიოდა. საქართველო ანახლებს პარიზის ხელშეკრულების რატიფიკაციით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ეროვნული წვლილის დოკუმენტის შესახებ, სადაც საუბარია სექტორის დაბალემისიან განვითარებასა და კლიმატგონივრული ტექნოლოგიების/სერვისების წახალისებაზე.⁴⁰ გარდა ამისა, საქართველო მოამზადებს კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნულ სამოქმედო გეგმას, სადაც, წესით, ყურადღება სოფლის მეურნეობის მედეგობის გაძლიერებასაც დაეთმობა. სოფლის მეურნეობის დაბალემისიან განვითარებასა და ადაპტაციის გაძლიერებას ითვალისწინებს „საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია“.

სოფლის მეურნეობის დარგის გენდერული საკითხები

რაც შეეხება გენდერული თანასწორობის საკითხებს, გაეროს ქალთა ფონდის კვლევის მიხედვით, ის არ არის ან არასაკმარისად არის გათვალისწინებული პოლიტიკის დოკუმენტებსა და ეროვნულ თუ ადგილობრივ დონეზე წარმოებულ პოლიტიკაში. ასევე, აშკარაა სინერგიის ნაკლებობა გენდერული თანასწორობის პოლიტიკასა და სექტორული სოფლის მეურნეობის განვითარების პოლიტიკას შორის.⁴¹ სოფლის მეურნეობის პოლიტიკები თითქმის არ ითვალისწინებს ქალთა სიღარიბის დაძლევის და ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას.⁴² მაგალითად, „სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020-ში“ ქალთა გაძლიერება მხოლოდ დასკვნით ნაწილშია ნახსენები, სადაც საუბარია სტრატეგიის განხორციელების პროცესში გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შეგროვებასა და ანალიზზე. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საკითხები, ასევე მარგინალურად და არასრულად არის წარმოდგენილი „სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2017-2020-შიც“.⁴³ აღსანიშნავია ისიც, რომ უწყებები ნაკლებად ფლობენ მონაცემებს სქესის მიხედვით, რაც შესაძლებელს გახდიდა ქალისა და კაცის განსხვავებული საჭიროებების ანალიზს.⁴⁴ მეტიც, სოფლის მეურნეობის სექტორის მხარდასაჭერად სახელმწიფომ ის პროექტი („მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“) დახურა,

³⁹ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (2020), [კლიმატის ცვლილების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა](#) (მომზადებულია დასამტკიცებლად).

⁴⁰ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (2020), [საქართველოს განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი \(NDC\)](#).

⁴¹ გაეროს ქალთა ორგანიზაცია გენდერული თანასწორობის და ქალთა გაძლიერებისთვის (UN Women), (2016), [სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი განვითარების სისტემების გენდერული შეფასება](#), გვ. 6.

⁴² წყარო №36.

⁴³ მარგველაშვილი, ქრისტინე. 2017. *ქალთა ეკონომიკური გაძლიერება საქართველოში: არსებული პოლიტიკის და ინიციატივების ანალიზი*. თბილისი: კავშირი საფარი.

⁴⁴ წყარო №36.

რომელსაც ყველაზე მეტი ქალი მოსარგებლე ჰყავდა და დატოვა მაღალბიუჯეტიანი პროექტები, რომლებშიც ქალთა მონაწილეობა დაბალია.⁴⁵

მნიშვნელოვნად განსხვავდება ქალებისა და კაცების სასოფლო-სამეურნეო ქონება და ამ სფეროში მათი ჩართულობის საკითხები. [სტატისტიკის სამსახურის](#) მიხედვით, 2019 წელს მეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწის ფართობების 80%-ს კაცები ფლობენ, ქალები კი მხოლოდ 20%-ს. 2019 წელს სასოფლო მეურნეობების 67.7%-ის მფლობელი კაცი იყო, ხოლო 32.3%-ის - ქალი. თუმცა, გაეროს ქალთა ორგანიზაციის კვლევის მიხედვით აღმოჩნდა, რომ სასოფლო-სამეურნეო სფეროში საქართველოს ყველა რეგიონში ქალები უფრო მეტს შრომობენ, ვიდრე კაცები (წელიწადში ქალები საშუალოდ 80.33 დღით მეტს შრომობენ). ამას გარდა, ქალები სხვადასხვა საოჯახო საქმესაც ასრულებენ, რასაც ასევე ემატება რეგიონებში შეზღუდული წვდომა ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე: საბავშვო ბაღებზე, ნარჩენების გატანის სერვისზე, საკანალიზაციო სისტემაზე და ა.შ.⁴⁶ რაც ქალების შრომასა და დატვირთვას მნიშვნელოვნად ზრდის.

სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში მიგრაციის მაჩვენებელი კაცებში გაცილებით მაღალია, ვიდრე ქალებში⁴⁷, რის გამოც ქალებს უწევთ საარსებო სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაძღოლა. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის⁴⁸ მიხედვით, ხშირად, სოფლად მცხოვრები ქალების მიერ სოფლის მეურნეობაში შეტანილი წვლილი შეუმჩნეველია, ვინაიდან მათი შრომა უმეტესად ოჯახურ პასუხისმგებლობად მიიჩნევა და აუნაზღაურებელი რჩება.

კლიმატის ცვლილების გავლენა სოფლის მეურნეობის დარგზე გორის მუნიციპალიტეტში

„შიდა ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021-ის“ მიხედვით⁴⁹, შიდა ქართლი საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონია. ხილის უმეტესი სახეების (ვაშლი, ქლიავი, მსხალი, ატამი, ბალი და ალუბალი) წარმოების მიხედვით, შიდა ქართლის რეგიონი ქვეყანაში პირველ ადგილზეა. ტრადიციულად, ეს რეგიონი ბოსტნეულის ერთ-ერთი მსხვილი მწარმოებელიცაა (ქვემო ქართლისა და კახეთის შემდეგ). „შესანიშნავი აგროკლიმატური პირობები და ნაყოფიერი ნიადაგები, აგრეთვე სხვა რეგიონებთან შედარებით სარწყავი მიწების დიდი ფართობი განაპირობებს სოფლის

⁴⁵ წყარო №42.

⁴⁶ წყარო №36.

⁴⁷ State Commission on Migration issues, (2015), [2015 Migration Profile of Georgia](#), Tbilisi.

⁴⁸ წყარო №12.

⁴⁹ საქართველოს მთავრობა, (2013) [შიდა ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021](#).

მეურნეობის დიდ პოტენციალს“.⁵⁰ რაც შეეხება მეცხოველეობას, რეგიონი ამ დარგის თითქმის არცერთ კატეგორიაში არ იკავებს წამყვან ადგილს.

გორის მუნიციპალიტეტში წარმოდგენილია სემი-არიდული (ნახევრად მშრალი) არეალები, რომლებიც განსაკუთრებით სენსიტიურია კლიმატის ცვლილების პროცესის მიმართ. საქართველოში ყველაზე არიდული მხარეა გარდაბანი, შემდეგ მოდის გორის მუნიციპალიტეტი, რომელიც აგრეთვე ხდება არიდული ზონა, რაც საფრთხეს უქმნის მიწის ნაკვეთების სტატუსის ცვლილებას ამ ადგილებში. „შიდა ქართლში შეიმჩნევა გაუდაბნოების პროცესის გააქტიურება, სადაც ბოლო 20 წლის განმავლობაში ქარსაცავი ზოლების განადგურებისა და ნალექების დეფიციტის პირობებში მომატებული ტემპერატურების ფონზე გაძლიერდა ქარისმიერი ეროზიის პროცესი“.⁵¹ კლიმატის ცვლილება გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის აგრობიომრავალფეროვნებაზე. აღსანიშნავია, რომ ეროვნულ დონეზე გორის მუნიციპალიტეტში გამოკვეთილად იჩენს თავს კლიმატის ცვლილების გამო მნიშვნელოვანი მოთხოვნის გაზრდა წყალზე და ერთწლიანი კულტურების პროდუქტიულობის შემცირება.⁵² მაგალითად, [სტატისტიკის სამსახურის](#) მიხედვით, 2019 წლის მონაცემებით, შიდა ქართლში ხორბლის საშუალო მოსავლიანობა წინა წლებთან შედარებით, შემცირებულია.

აქვე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გორის მუნიციპალიტეტის სოფლები და კონკრეტულად საკვლევი სოფელი, ქვემო ნიქოზი, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის ზონის სტატუსს ატარებს. კონფლიქტის რთული გამოცდილება დღემდე ახდენს გავლენას აქ მცხოვრები ადამიანების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. შესაძლოა, სოფელში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი, ადგილობრივ მოსახლეობას კლიმატის ცვლილების მიმართაც კიდევ უფრო მოწყვლადს ხდიდეს.

კვლევის მეთოდოლოგია

სტატიაში ასახული ინფორმაცია თვისებრივი კვლევის მეთოდით, ჩატარებული ინტერვიუების მეშვეობით შეგროვებული მონაცემების ანალიზს ეყრდნობა. 2020 წლის დეკემბერში, კვლევის ფარგლებში, ჩატარდა ინტერვიუები 15 ქალთან გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ნიქოზში. რესპონდენტების შერჩევისას გათვალისწინებული იყო: 1) მათი საქმიანობა, ანუ სასოფლო მეურნეობაში შრომა მათი ერთ-ერთი მთავარი საქმიანობაა; 2) მათი ასაკი, შეირჩნენ ისეთი რესპონდენტები, რომლებიც ამ სოფელში 20 წელზე მეტია, მისდევნენ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. შერჩევის ეს კრიტერიუმები მნიშვნელოვანი იყო ინტერვიუებისთვის ისეთი რესპონდენტების შესარჩევად, რომლებიც შეძლებდნენ, კლიმატის ცვლილებების გავლენებზე საკუთარი

⁵⁰ იგივე, გვ. 17.

⁵¹ იგივე, გვ. 25.

⁵² წყარო №37.

გამოცდილებიდან და დაკვირვებებიდან ესაუბრათ. რესპონდენტების ასაკი 38 წლიდან 86 წელს შორისაა. რესპონდენტებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან ამოღებულ ციტატებს სტატიაში დახრილი შრიფტით წარმოგიდგენთ.

ქალების შრომა: მათი ჩართულობა სოფლის მეურნეობაში

მეურნეობაში საკუთარი ჩართულობის შესახებ საუბარს ასაკოვანი რესპონდენტები საბჭოთა კავშირის პერიოდის მეურნეობის გამოცდილებით იწყებენ, რადგან მათი მიწასთან დაახლოება ძირითადად იმ პერიოდს უკავშირდება. მაშინ მოსახლეობის მფლობელობაში მცირე ფართობის მიწები იყო, ქალები ძირითადად მეურნეობების მიწებზე მუშაობდნენ, რათა სხვადასხვა სახის ბენეფიტები (მაგალითად, ბავშვებისთვის ფულადი დახმარება) მიეღოთ. საოჯახო მოხმარებისთვის ბოსტნეული კი, სახლთან არსებულ მცირე მიწებზე მოჰყავდათ. კოლექტივის მიწების მოსახლეობაზე დანაწილების შემდეგ, ქალებმა საოჯახო მოხმარებისთვის და ზოგმა გასაყიდადაც, დაიწყო ბოსტნეულის მოყვანა მიწის უფრო დიდ ფართობებზე. ამჟამად, რესპონდენტები საშუალოდ 40 მეასედ (ანუ 4 000 კვ. მეტრის) მიწის ფართობს ამუშავებენ.

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ სოფელში ქალსაც და კაცსაც ბევრი შრომა უწევს, თუმცა მათი მოვალეობები და საქმიანობა განსხვავებულია. კაცების საქმეა, ძირითადად, დიდი ფართობის მიწებზე მარცვლეულის მოყვანა; ხილის მოსავალზე ზრუნვა; ხეების მოვლა, მორწყვა, გასხვლა, შეწამვლა, მოკრეფა; და სხვა ფიზიკური საქმის შესრულება. კაცების ნაწილი სოფლის გარეთ დაქირავებით შრომასაც ეწევა. რესპონდენტების თქმით, ქალები კიდეც უფრო დატვირთულები არიან, ვიდრე კაცები, თუმცა მათი საქმიანობა უხილავი და დაუფასებელია: *„ქალის საქმე უფრო შრომატევადია, მაგრამ არ ჩანს. კაცი ერთ საქმეს გააკეთებს და ჩანს. ქალი აჩენს ოჯახს, მარა ოჯახის უფროსად მაინც კაცი ითვლება“.*

კვლევის მიხედვით, სოფლად მცხოვრები ქალები სხვადასხვაგვარ შრომას ასრულებენ. მათი საქმეა ბაღში ბოსტნეულის დათესვა, დარგვა, თოხნა, ბალახისგან გასუფთავება, მოკრეფა (მოსავლის აღება), თესლების გამოღება; მოსავლის აღების შემდეგ, მათი გადარჩევა და დაბინავება, ხილისა და ბოსტნეულისგან კონსერვების, მწნილის, კომპოტებისა და მურაბების დამზადება; ამას გარდა, საოჯახო საქმეების კეთება: დარეცხვა-დასუფთავება, დალაგება, კერძების მომზადება და პურის გამოცხობა, ბავშვებისა და ავადმყოფების მოვლა, *„პლიუს კაცებსაც ქალი უნდა მოემსახუროს და კაცების არეულობაც ჩვენ ვალაგებთ“.* შინაური ცხოველების და ფრინველების მოვლა, ძირითადად, ასევე ქალების საქმეა, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ამ საქმეს კაცებიც ინაწილებენ. აღსანიშნავია, როლების ცვლილება მოყვანილი პროდუქტების გაყიდვისას, *„ადრე კაცები მიდიოდნენ უფრო, ახლა ბაზარზეც ქალი მიდის“.* იმ ქალებს, რომლებიც სოფელში დაქირავებით შრომასაც ეწევიან, მაინც უწევთ ყველა ზემოთ ნახსენები საქმიანობის შესრულება.

ქალების მიწაზე სამუშაო გაზაფხულზე იწყება ბოსტნეულის დათესვით, ზაფხული ძირითადად მათ მოყვანას ეთმობა, შემოდგომა - მათ დაბინავებასა და ზამთრის სამზადისს. რთულია მიწაზე შრომატევადი საქმის საოჯახო და ქალების სხვა საქმესთან შეთავსება, თუმცა ქალები უმეტეს შემთხვევაში წარმატებით ახერხებენ და ანაწილებენ დროს: მაგალითად, „ზაფხულში დღე დიდია, ადრე ვდგები და ვცდილობ ყველაფერი მოვასწრო ხოლმე. დილით და საღამოს ვარ ბაღში, შუადღით მზის დროს ვისვენებ და მაშინ და ღამე ვაკეთებ სახლის საქმეს“. სოფელში, გაფართოებული ოჯახის შემთხვევაში, თუ ორი ქალი ცხოვრობს ოჯახში, საქმეს ინაწილებენ და/ან ერთად შრომობენ: „საჭმელს რძალი აკეთებს და ხან ბაღშიც მეხმარება ხოლმე. მე უფრო ბალი მბარია და ავადმყოფი ქმრის მოვლა. ქმრის საქმეც მე დამაწვა“. რესპონდენტების თქმით, ქალების საქმე არც ზამთარშია მსუბუქი, მაგალითად, ზამთარში საქონლის მოვლა რთულდება, ასევე, „სახლის საქმეც ბევრია ზამთარში. თან სოფელში ნორმალური პირობები როდესაც არ გაქვს, თან ცივა, რთულია საქმეების კეთება.“

რესპონდენტ ქალებს მოჰყავთ სხვადასხვა ბოსტნეული: პომიდორი, წიწაკა, სტაფილო, კიტრი, ლობიო, სიმინდი, ყაბაყი, გოგრა, კარტოფილი, ხახვი, ნიორი, მწვანილეული და სხვ. მოსავალს ძირითადად საოჯახო მოხმარებისთვის იყენებენ, თუმცა კარგი მოსავლის შემთხვევაში, რამდენიმე რესპონდენტი ყიდის პომიდორს და ლობიოს. რესპონდენტები საუბრობენ სოფელში მესაქონლეობის შემცირების ტენდენციაზე, საძოვრების არარსებობისა და საქონლის მოვლა-შენახვასთან დაკავშირებული სირთულის გამო.

კლიმატის ცვლილება და მისი ზემოქმედება სოფლის მეურნეობაზე

მიუხედავად იმისა, რომ შიდა ქართლი და გორის მუნიციპალიტეტი კლიმატის ცვლილების შეფასების კვლევებში ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად არეალად არ ინიშნება, რესპონდენტები ბოლო 20 წლის, და განსაკუთრებით, ბოლო 3-4 წლის განმავლობაში, ბევრ ცვლილებას ამჩნევენ სოფელში ბუნებასა და კლიმატს. ყველაზე შესამჩნევია **ზამთარში ტემპერატურის მატება და თოვლის სიმცირე**. იხსენებენ, რომ ადრე მკაცრი ზამთარი იყო სოფელში, ოქტომბერში უკვე თოვდა და ხშირად თოვლის საფარი ერთ მეტრს აღემატებოდა, „ბოლო 20 წელია დიდი თოვლი არ მოსულა და ნელ-ნელა მცირდება“. რესპონდენტების თქმით, თოვლი აუცილებელია, „თუ თოვლი არ მოვიდა, მიწა არ ტენიანდება კარგად და ნაკლები მოსავლიანობა აქვს.“

ასევე, სოფელში მკვეთრად საგრძნობია **გვალვების მატება**. რესპონდენტების თქმით, ბოლო 3-4 წელია, რაც წვიმები ნაკლებად მოდის, შემოდგომითაც კი. მათი აზრით, მომეტებული გვალვები უარყოფითად აისახება სოფლის მეურნეობაზე: „მოქმედებს გვალვები მოსავალზე, იხრუკება ბოსტნეული და ხილი. ისედაც, წვიმით სხვანაირად ჯანსაღდება მოსავალი, მორწყვაც საჭიროა, მარა წვიმაც აუცილებელია“.

კლიმატის ცვლილების მკაფიო უარყოფითი შედეგია, ასევე, სტიქიების, განსაკუთრებით, სეტყვების გახშირება და გაძლიერება სოფელში, რაც უშუალოდ აისახება წლის მოსავლის შემცირებაზე: „3-ჯერ დაისეტყვა მოსავალი წელს, გაფორმებული არ გვაქვს მიწა და დაზღვეულიც არ გვექონდა. ზაფხულში დაისეტყვა, ნაყოფი რომ უკვე გამოსულია, მაშინ და გააფუჭა ყველაფერი. ან როგორ მოვიდა მოსავალი საერთოდ“.

სოფელში განსაკუთრებით პრობლემურია **ნიადაგის დაბალი ნაყოფიერება**: „ისეთი ნიადაგი გვაქვს, ვძალაობთ, რომ რამე მოვიყვანოთ“. რესპონდენტების თქმით, ნიადაგი კიდევ უფრო გაუარესდა ბოლო წლებში, რადგან მომეტებული გვალვები და ქარები მიწას ფიტავს და ნაკლებად მოსავლიანს ხდის. ამიტომ, ნიადაგის მინერალებით გაუმდიდრებლად და უწყლოდ, შეუძლებელია რაიმეს მოყვანა.

კლიმატის ცვლილების ერთ-ერთი შედეგია ახალი, არაადგილობრივი, ე.წ. **ინვაზიური სახეობების მწერების გამოჩენა**, რასაც რესპონდენტებიც ადასტურებენ. მათი თქმით, გაიზარდა მწერების რაოდენობა და ამჩნევენ ახალი სახეობების გამოჩენასაც: „რაც მე ჭიები ვნახე წელს, მთელ ბაღშია მოდებული, აქამდე არ მინახავს“. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მწერები საფრთხეს უქმნიან ბოსტნულს, „ფესვებს უჭამენ ნერგებს. წელს პამიდორი 3-ჯერ დავრგე, მერე მოვწამლე და ისე დავრგე, თორემ ბოსტანა (მახარა) ჭამდა“. ასევე, ამჩნევენ ბოსტნულის დაავადებების გამოჩენას: „რალაც დაავადებაა, შავდება პამიდორი და ფუჭდება“.

კლიმატის ცვლილების გავლენა ქალებსა და მათ შრომაზე

სოფლის მეურნეობა რომ კლიმატის ცვლილების მიმართ მეტად მოწყვლადი დარგია, ამას ეს და სხვა კვლევებიც ადასტურებენ. თუმცა, საკვების უზენბლობის გარდა პრობლემა ვლინდება იმაშიც, რომ კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული ზემოქმედება საგრძნობლად ზრდის ქალების დატვირთვას, მაშინ როდესაც ქალები ისედაც მრავალ ხილულ თუ უხილავ შრომას ეწევიან სოფელში.

სოფელში გახშირებული სეტყვა ქალების შრომას აუფასურებს: ერთი მხრივ, მათ მოყვანილ პროდუქტს უვარგისს ხდის - „ნასეტყვი ფუჭდება, ნაქარში ჩავაბარეთ ვაშლი. ყველაფრის ხარისხს აფუჭებს“. მეორე მხრივ, ქალებისგან ორმაგ და სამმაგ შრომას მოითხოვს: „სეტყვა რომ მოდის, აფუჭებს დარგულ ბოსტნულს. მაგის გამო 3-ჯერ დავრგეთ წელს პომიდორი“. ქალების შრომას ნიადაგში მომატებული მწერების რაოდენობაც ზრდის. ისინი დარგულ მოსავალს და მათ ფესვებს აფუჭებენ, შემდეგ კი ქალებს თავიდან უწევთ ნერგების დარგვა ან უხარისხო მოსავალი აქვთ: „ჭიანი ამოვიღეთ წელს ყველაფერი. გავაბარებ, მივალ და რამის გულმა დამარტყას. დავიღალე ნერგების ჩამატებით, ბოლოს აღარც დავამატე. ჭია უჭამს ძირს და ხმება“. გვალვების მომატება და ნიადაგის გამოფიტვაც ზრდის ქალების შრომას, რადგანაც უფრო ხშირად უწევთ მისი მორწყვა: „მცენარეს უჭირს ამოსვლა, რაც მაგაზე ვეწვალეთ, რომ

ამოსულიყო. იმდენს ვრწყავდით, ძლივს გამოჩნდნენ მიწაზე. ისედაც, ყოველ მეორე ან მესამე დღეს წყლის დასახმა უნდა, თუ არადა ფერი ეცვლება მცენარეს“.

საერთო ჯამში, ყველა ცვლილების შედეგად, რესპონდენტების დაკვირვებით, სოფლის მეურნეობა, წინა 10 და 20 წელთან შედარებით, ქალებისგან ბევრად მეტ შრომას მოითხოვს, თუმცა ამის მიუხედავად, მაინც ნაკლებ მოსავალს იღებენ: „*თუ არ მოუვლი, არაფერი მოდის. ქალებს ბევრი წვალება აქვთ, ახლა უფრო მეტი, და ნაკლები მოდის“*. მათი თქმით, „*4-5 წელში განახევრდა მოსავლიანობა“* და „*იმდენივეს ვთესავთ, რამდენსაც ადრე და თუ არ მოუარე, ნახევარზე ნაკლები მოდის“*. ბევრს შრომობენ, ახლა უფრო მეტს, ვიდრე ადრე და „*მაინც ამინდებზე და ბუნებაზე ხარ დამოკიდებული“*, ამიტომ შეიძლება იმდენი მოსავალი ვერ აიღონ, რამდენსაც ელოდნენ და საბოლოოდ პროდუქტების ყიდვა მოუწიოთ: „*წელს არ იყო კარგი მოსავალი. სახლში მოტანილი ხახვი გამიფუჭდა. რაც დამრჩა აღარ გვეყოფა მთელი წელი და ყიდვა მომიწევს“*.

ქალები იმაზეც საუბრობენ, თუ როგორ აისახება ეს ცვლილებები მათ ჯანმრთელობაზე. სიცხეების მატება, მათი აზრით, ჯანმრთელობაზე უშუალოდ მოქმედებს, სისხლძარღვები უფართოვდებათ, აწუხებთ ტკივილები და უჭირთ შრომა. მეორე მხრივ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოყვანის გართულება და ქალების დატვირთვის გაზრდაც აისახება მათ ჯანმრთელობაზე: „*რასაც ვაკეთებ, იმდენიც არ მოდის. წელი ამტკივდა ამდენი თოხნით. ძროხების მოწველაც აღარ შემიძლია, ხელები მტკივა, ჯანი უნდა“*. სეტყვის გამო მათი შრომით მოყვანილი მოსავლის გაფუჭება ასევე აისახება მათ ჯანმრთელობასა და სტრესზე: „*ნერვიულობაა, რაც მე ვიტირე, რომ დაისეტყვა. კარგი ნაყოფი ესხა, მარა სეტყვამ გააფუჭა. ქვანაღები და არაფერი გექნება. მსიამოვნებდა, რომ იზრდებოდა“*.

რესპონდენტების თქმით, წლების წინ, მოყვანილ მოსავალს ინახავდნენ და ზამთარში ყიდდნენ, თუმცა ახლა, როგორც ამბობენ, მოსავალი მალე უფუჭდებათ და ურჩევნიათ მალევე გაყიდონ, თუმცა იაფად, რაც იმას გულისხმობს, რომ მათ შრომას ახლა ნაკლები ფასი აქვს. მეორე მხრივ, ამ ქალების შრომით მიღებული თანხა, ძირითადად ოჯახს ხმარდება და ისინი ნაკლებად განკარგავენ: „*ქალები იჩაგრებიან, გაყიდული პროდუქტით მიღებული შემოსავალი არ რჩებათ მათ, თავის ნებაზე ვერ ხარჯავენ“*.

სოფელში მდინარე ღიახვზე საირიგაციო მიზნით აგებულია კაშხალი და მიმდებარე სოფლები ამ წყლით მარაგდება, თუმცა სოფელ ქვემო ნიქოზის მოსახლეობის ნაწილში ეს პრობლემა კვლავ აქტუალურია. რესპონდენტები ამბობენ, რომ წყლის მიყვანა ყველგან დაგეგმილი იყო და საკმარისი მიწებიც მიიტანეს ადგილზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, მოსახლეობის ნაწილი მაინც სარწყავი წყლის გარეშეა დარჩენილი. კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ სირთულეებს ამ ოჯახებისთვის, და კონკრეტულად ქალებისთვის, წყლის არარსებობა კიდევ უფრო ამძიმებს: „*წყალი ჩვენთან არ მოიყვანეს და ხელით მოვრწყეოთ, დიდი დრო და შრომა დასჭირდა, რაც მოვიყვანეთ იმას“*. დიდი შრომის მიუხედავად, უწყლობის

გამო ამ ქალებმა მცირე მოსავალი მიიღეს: „წელს, მეგონა, მოიყვანდნენ წყალს, დავთესე და რომ ვერ მოვრწყე, 3 ჩადგმა ლობიო მომივიდა მარტო, ადრე იმდენი მომდიოდა, სხვებს ვამღეფდი ხოლმე“.

ადაპტაციის მეთოდები და ქალების საჭიროებები

კლიმატის ცვლილებასთან გასამკლავებლად, სათბურის აირების ემისიების შემცირებასთან ერთად, მნიშვნელოვანია ადაპტაცია, რაც ამ ცვლილებებთან თანაცხოვრების უნარების გამომუშავებასა და გამძლეობის გაზრდას გულისხმობს. სოფლის მეურნეობის დარგში ადაპტაციის სხვადასხვა მეთოდი არსებობს, თუმცა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ქვეყანაში ადაპტაციის მეთოდების გამოყენების მწირი გამოცდილებაა.

კლიმატის ცვლილებასთან სოფლის მეურნეობის ადაპტაციის ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდია მცენარეების კლიმატური პირობების მიმართ მედეგი ჯიშების/თესლების გამოყვანა და მათი გამოყენება.⁵³ კვლევისთვის საინტერესო იყო, თუ რამდენად იყენებდნენ ასეთ თესლებს და თუ ამსუბუქებდა ქალების შრომას გაუმჯობესებული თესლების მოხმარება. რესპონდენტების თქმით, ლობიო და კარტოფილი ძირითადად ადგილობრივი, თავიანთი, თესლებით მოჰყავთ. სხვა ბოსტნეულს (პომიდორი, კიტრი, სტაფილო და ა.შ.) რაც შეეხება, რესპონდენტების ნაწილს ადგილობრივი თესლის დათესვა ურჩევნია, რადგან „სახლისა უკეთესია ხოლმე მაინც, უფრო გემრიელია“. თანაც, ზოგიერთი მათგანი ფიქრობს, რომ „ნაყიდი თესლი გამოდგომავს, ვის როგორი გამოუვა, ხან კარგია, ხან არ მოდის კარგი“. რესპონდენტების ნაწილს გამოყვანილი (ნაყიდი) თესლის დათესვა ურჩევნია, რადგან ისინი უფრო მოსავლიანია და რადგან შეწამლულია, უფრო მარტივად ამოდის. ამიტომ, ფიქრობენ, რომ „ნაყიდი თესლი უფრო მოდის და დიდი რაოდენობის დათესვა რომ გინდა, სახლისას ვერ ენდობი“, ხოლო მცირე ტერიტორიაზე თუ თესავენ, პრიორტეტს ადგილობრივი თესლის დათესვას ანიჭებენ.

იმის ფონზე, რომ პროდუქტების მოყვანა გართულებულია და ნიადაგიც გამოფიტულია, საინტერესოა, როგორ ახერხებენ რესპონდენტები ამ გამოწვევასთან გამკლავებას. რესპონდენტებში ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდია ნიადაგის ნაკელით გამდიდრება.⁵⁴ მათი თქმით, ამ მეთოდს იმიტომ იყენებენ, რომ ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტი მოიყვანონ, რადგან ძირითადად საოჯახო მოხმარებისთვის მოჰყავთ ბოსტნეული. ნაკელის გამოყენების ერთ-ერთ მიზეზად დასახელდა ისიც, რომ შხამ-ქიმიკატების გამოყენება ფინანსურ რესურსს მოითხოვს, ნაკელი კი სახლში ისედაც აქვთ, ამიტომ მისი გამოყენებით

⁵³ წყარო №38.

⁵⁴ „ნაკელი ორგანული სასუქია და, გარდა იმისა, რომ მცენარის საკვებ ყველა ელემენტს შეიცავს, ამავდროულად ნიადაგის სტრუქტურასაც აუმჯობესებს, არეგულირებს მასში ჰაერისა და წყლის გამტარობას და ა.შ.“ წყარო: საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, (2016), *ბოსტნეული კულტურები*, გვ. 11.

ხარჯებსაც ზოგავენ. რესპონდენტების თქმით, ხილისა და ბოსტნეულის შეწამვლაც აუცილებელია, რადგან „თუ არ მოწამლე, არაფერი მოდის ისე. ადრე არაფერს წამლიდნენ, ახლა ჭია ჭამს“. მათივე თქმით, ადრე ძირითადად კირითა და შაბიამნით წამლიდნენ ხილსა და ბოსტნეულს და უფრო ჯანსაღი პროდუქტი მოჰყავდათ. მათი გაზავება და შესაწამლად გამოყენება უფრო რთულია და ახლა გამზადებული შხამ-ქიმიკატების გამოყენება ურჩევნიათ: „ძირითადად 8 დღეში ერთხელ უნდა მოწამვლა ბოსტნეულს. ახლა ათასნაირი დასახელების წამალია, ადრე შაბიამნით და კირით წამლიდნენ კაცები, მარა რთულია მაგიტომ მოწამვლა, წვალეზა უნდა“. რესპონდენტები ამბობენ, რომ ზოგიერთი ოჯახი სოფელში მიწასაც წამლის, იმდენად უჭირთ პროდუქტების მოყვანა.

რესპონდენტების თქმით, როდესაც ოჯახებს დიდი რაოდენობის მოსავალი მოჰყავთ, ტექნიკას ძირითადად იყენებენ მოხვნისას, დათესვისა და მოსავლის აღებისას, თუმცა როდესაც მხოლოდ საოჯახო მოხმარებისთვის მოჰყავთ, ტრაქტორს მხოლოდ მიწის დასამუშავებლად იყენებენ და დანარჩენ საქმეს ქალები ასრულებენ, ანუ ტექნიკა ნაკლებად გამოიყენება ქალების შრომის შესამსუბუქებლად. ყველა რესპონდენტი იყენებს ბოსტნეულის ადგილმონაცვლე დათესვის მეთოდს, რაც ცნობილი პრაქტიკაა და ზრდის მათ მოსავლიანობას: „მონაცვლეობით დათესვა უკეთესია, წელს ადგილი შევუცვალეთ სტაფილოს და ძლივს კარგი სტაფილო მოგვივიდა“. ზოგიერთი რესპონდენტი შრომის შემსუბუქებისა და უკეთესი მოსავლის აღების მიზნით, მაგალითად, კიტრის ნერგს სარეზზე აბამს, რადგან მიწაზე უფრო მალე ფუჭდება მოსავალი, გარდა ამისა, ეს მოკრეფასაც აიოლებს; ლობიოსა და სიმინდს, ერთად ჩათესვის ნაცვლად, გვერდიგვერდ თესავენ და მათი მოყვანაც უმარტივდებათ და აღებაც; რამდენიმე რესპონდენტი ცდილობს ჯერ კომპოსტში გაზარდოს ბოსტნეულის ნერგები და მერე გადარგოს ბაღში, რადგან მათი თქმით, ასე უფრო ადვილი გასახარებელია და ნაყოფსაც უფრო ადრე ისხამს. ხილისა და ბოსტნეულის მოყვანის გართულების გამო, რესპონდენტებს მარწყვი აღარ აქვთ, რადგან ვეღარ აუდიან ბაღის საქმეს და ბოსტნეულის წლიური მარაგისთვის შრომა არჩიეს: „ადრე მარწყვიც გვქონდა, მარა შრომატევადია, აღარ შემიძლია მოვლა და გავაწყვე“.

კლიმატის ცვლილების გამო ზიანის შემცირების ან თავიდან არიდების მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკაა მოსავლის დაზღვევა.⁵⁵ საქართველოშიც ნელ-ნელა იწერება ეს პრაქტიკა. ყველა რესპონდენტს აქვს ინფორმაცია ამ შესაძლებლობის შესახებ, თუმცა არცერთი მათგანი არ იყენებს, რისი მთავარი მიზეზიც მიწების დაურეგისტრირებლობაა, რადგან დაურეგისტრირებელ მიწებს არ აზღვევენ.

სახელმწიფო სხვადასხვა პროგრამას ახორციელებს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და მხარდაჭერის მიზნით. მნიშვნელოვანია ეს პროგრამები ქალების მხარდაჭერაზე იყოს მიმართული, რადგანაც სოფლად მცხოვრები ოჯახების საკვებით უზრუნველსაყოფად,

⁵⁵ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, (2015) საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015 – 2020 წწ.

ქალები ბევრს შრომობენ. სახელმწიფო პროგრამით არცერთ რესპონდენტს არ უსარგებლია, რადგან ამ პროგრამების შესახებ დროულად ვერ იღებენ ინფორმაციას. იხსენებენ ვაუჩერების პროგრამას, რომელიც მიწის ნაკვეთის ფართობის მიხედვით იყო გამოყოფილი და მინიმუმ 1 ჰექტარი ფართობის მიწის ქონას მოითხოვდა. რესპონდენტების უმრავლესობის ოჯახებს არც ეს ვაუჩერები მიუღიათ: „*ვაუჩერებია სასუქის, ჰექტარზე 200 ლარი დაახლოებით და ჩვენ არ მოგვცეს, ჰექტარზე მეტი კი გვაქვს*“. რესპონდენტების თქმით, სათბურის მოწყობაში მხარდაჭერა და ახალი ინფორმაციის მიწოდება წარმოების პროცესში თანამედროვე მეთოდების გამოყენების შესახებ, მათთვის მნიშვნელოვანი იქნებოდა: „*ვისწავლიდი, რომელ ბოსტნეულს როგორ მოვუარო. ყველა მცენარეს სხვანაირი მოვლა უნდა და ვისწავლიდი, რომელს რა უყვარს. წელს კიტრი გვიფუჭდებოდა, ინტერნეტში მოვძებნე და როგორც ეწერა, სოლით და ხსნარებით შევწამლე და კარგი კიტრი მოვიყვანე*“.

ქალების დამოკიდებულება თავიანთი საქმიანობის მიმართ

იმის მიუხედავად, რომ როგორც რესპონდენტები ამბობენ, მიწა უფრო და უფრო მეტ შრომას მოითხოვს, მისი პროდუქტიულობა კი თანდათან მცირდება, მათ დიდ ნაწილს მაინც უყვარს და მოსწონს ეს საქმიანობა: „*მიყვარს მიწაზე მუშაობა, ჩემს ნამუშევარს რომ გადავხედავ და მომწონს*“, და „*ნეტა არ დაღამდებოდეს, რამდენჯერ მინატრია, რომ გულიანად მოვასწრო ბაღის საქმე. სულ შემოიძლია ბაღში ყოფნა. სულ რომ სიცხე იყოს, მაინც*“. მათი თქმით, სოფლის მეურნეობა ტრადიციული საქმიანობაა და მოსწონთ ამ საქმის გაგრძელება, თანაც ბუნებასთან სიახლოვეს გრძნობენ და ეს სიამოვნებასაც ანიჭებთ. ასევე, მიწაზე მუშაობა სოფელში თავისა და ოჯახის რჩენის საშუალებაა. ზოგი ოჯახისთვის კი დამატებითი შემოსავალიცაა. აღნიშნავენ, რომ მათი მოყვანილი პროდუქტის სხვებისთვის განაწილება და სხვების დახმარებაც მნიშვნელოვანია, რასაც ყოველთვის ცდილობენ.

დასკვნა

კლიმატის ცვლილების პროგნოზირებული სცენარის მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა და პროდუქტების წარმოება კიდევ უფრო გართულდება. სოფლად მცხოვრები ქალების უმრავლესობა ამ სექტორშია ჩართული და ისინი, თავიანთ ოჯახებთან ერთად, დამოკიდებული არიან საკვების ამ გზით წარმოებაზე. სექტორზე უარყოფითი ზემოქმედება ამ ქალებზეც უარყოფითად მოქმედებს. სტატიაში განხილული კვლევის მიხედვით გამოიკვეთა, რომ რესპონდენტები უკვე ამჩნევენ შემდეგ ცვლილებებს: ზამთარში ტემპერატურის მატება და თოვლის შემცირება, გვალვების მომატება, სეტყვების გახშირება და გაძლიერება, ნიადაგის გამოფიტვა, ახალი მწერების გამოჩენა და დაავადებების გავრცელება. ამას ემატება სარწყავი წყლის პრობლემა და საძოვრების არარსებობაც, რაც ასევე ზემოქმედებს ამ სექტორზე. ეს ყველაფერი კი საგრძნობლად ზრდის ქალების დატვირთვას, მაშინ როდესაც

ქალები ისედაც მრავალ ხილულ თუ უხილავ შრომას ეწევიან სოფელში: ბავშვებისა და/ან ავადმყოფების მოვლა, საოჯახო საქმე (სისუფთავის დაცვა, კერძების მომზადება და პურის გამოცხობა, დარეცხვა-დალაგება და ა.შ.), ბაღში ბოსტნეულის დათესვა-მოყვანა, ოჯახის საკვებით მარაგზე ზრუნვა (ზამთრისთვის კონსერვების, მურაბებისა და კომპოტების მომზადება) და ა.შ. კლიმატის ცვლილებიდან მომდინარე შედეგების გამო, რესპონდენტებს რამდენჯერმე უწევთ ერთი და იმავე საქმის გაკეთება, უჭირთ ბიოლოგიური პროდუქტების წარმოება, უფრო დიდი შრომის ფასად ნაკლები რაოდენობის და/ან ხარისხის პროდუქტი მოჰყავთ, უჭირთ მოყვანილი პროდუქტის შენახვა, ზოგიერთი სახეობის ხილისა და ბოსტნეულის მოყვანაზე უარის თქმა უწევთ და ა.შ.

რესპონდენტები ცდილობენ კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ისეთი ზომების გამოყენებას, როგორიცაა: ნიადაგის გამდიდრება, ადგილმონაცვლე დათესვა და ა.შ., და ეს პრაქტიკები ეხმარებათ თავიანთი შრომის პროდუქტიულობის გაზრდაში. თუმცა ადაპტაციის ეს ზომები, რესპონდენტების რესურსები, მათი ცოდნა ახალი ტექნოლოგიებისა და ადაპტაციის მეთოდების შესახებ, არასაკმარისია, და საკმარისად ვერ პასუხობს ქალების წინაშე მდგარ სოფლის მეურნეობის გამოწვევებს. მეორე მხრივ, მათ არ აქვთ საკმარისი ტექნოლოგიური, ფინანსური და ინფორმაციული მხარდაჭერა; არავინ ზრუნავს მათთვის ამ გამოწვევების შემსუბუქებაზე; ამ პრობლემებზე საჯარო დისკუსიებიც ნაკლებად მიმდინარეობს, რის გამოც ამ ადამიანების გაზრდილი შრომა და დატვირთვა საჯარო სივრცეში ჯერჯერობით უხილავია. კლიმატის ცვლილება და მისი შედეგები, გაზრდილი შრომის ჩათვლით, ქალების ჯანმრთელობაზეც აისახება. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ საერთო ჯამში, კლიმატის ცვლილება კიდევ უფრო ზრდის სოფლად მცხოვრები ქალების მოწყვლადობას.

სოფლის მეურნეობის შესახებ სხვადასხვა დოკუმენტის ანალიზი აჩვენებს, რომ დარგი ბევრი პრობლემისა და გამოწვევის წინაშე დგას, ასევე არ ხდება ორგანული წარმოების წახალისება. მნიშვნელოვანია, რომ კლიმატის ცვლილებისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკის დოკუმენტები, ასევე სხვა სფეროებიც, აუცილებლად მოიცავდნენ ამ ქალების პრობლემებს და მათი მხარდაჭერის საკითხებს. ქვეყანაში იწყება კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმის შემუშავება და აუცილებელია, რომ მისი შედეგებისა და შესრულების ეტაპები მოიცავდნენ ქალების ამ ჯგუფის საჭიროებებსა და გამოწვევებს. მნიშვნელოვანია, რომ ეს ადამიანებიც იყვნენ ჩართულები ამ და სხვა დოკუმენტების შემუშავების პროცესში. გარდა ამისა, კვლევის მიხედვით გამოიკვეთა, რომ საჭიროა მათი ინფორმაციული (განსაკუთრებით, ადაპტაციის საკითხებზე), ტექნოლოგიური (მაგალითად, სეტყვისგან დამცავი) და სხვა რესურსებით მხარდაჭერა. აუცილებელია, რომ მხარდაჭერის პროგრამების დაგეგმვისას ისინი მორგებული იყოს ამ ქალების საჭიროებებზე და მათთვის ინფორმაციის მიწოდება მაქსიმალურად იყოს უზრუნველყოფილი.

ბიბლიოგრაფია:

ბერაია ა., (2019), [ქალთა ეკონომიკური გაძლიერება სოფლის მეურნეობის განვითარების კონტექსტში](#), საქართველოს ახალგაზრდა მწვანეები.

გაეროს განვითარების პროგრამა, (2015), [საქართველოს მესამე ეროვნული შეფასებინება გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მიმართ](#).

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), 2018, [გენდერი, სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება. ქვეყნის გენდერული შეფასების სერია](#), რომი.

გაეროს ქალთა ორგანიზაცია გენდერული თანასწორობის და ქალთა გაძლიერებისთვის (UN Women), (2016), [სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი განვითარების სისტემების გენდერული შეფასება](#), გვ. 6.

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, (2007), [კლიმატის ცვლილების ექსპერტთა სამთავრობოთაშორისო ჯგუფის მე-4 შეფასებითი ანგარიში](#), რეზიუმე პოლიტიკის გამტარებლებისთვის.

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, (2017), [კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ეროვნული გეგმა სოფლის მეურნეობის სექტორისთვის](#).

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, (2020), [კლიმატის ცვლილების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა](#) (მომზადებულია დასამტკიცებლად).

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, (2019), [საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021 – 2027](#).

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, (2017), [საქართველოს სოფლის მეურნეობის ადაპტაციის ეროვნული გეგმის მომზადების ხარვეზებისა და საჭიროებების ანალიზი](#).

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, (2020), [საქართველოს განახლებული ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი \(NDC\)](#).

ევროკავშირი საქართველოსთვის, (2016), სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა (ENPARD), [საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020](#).

მარგველაშვილი, ქრისტინე. (2017). *ქალთა ეკონომიკური გაძლიერება საქართველოში: არსებული პოლიტიკის და ინიციატივების ანალიზი*. თბილისი: კავშირი საფარი.

მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის (WEG), (2016), [კლიმატის ცვლილება და მდგრადი განვითარება](#), სალექციო მასალების კრებული.

საქართველოს მთავრობა, (2013), [შიდა ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021](#).

სოფლის მეურნეობის სამინისტრო, (2015), საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015 – 2020 წწ.

Alston, M., Clarke, J., & Whittenbury, K. (2018). Contemporary feminist analysis of Australian farm women in the context of climate changes. *Social Sciences*, 7(2), 16.

Antonopoulos, R., & Floro, M. S. (2005). Asset ownership along gender lines: Evidence from Thailand. *The Levy Economics Institute of Bard College Working Paper*, (418).

Bryant, Christopher R., Kenel Delusca, and Mamadou Adama Sarr. (2016). Introduction. In *Agricultural Adaptation to Climate Change*. Edited by Christopher R. Bryant, Mamadou A. Sarr and Kenel Delusca. London: Springer, pp. 1–10.

Carr, E. R., & Thompson, M. C. (2014). Gender and climate change adaptation in agrarian settings: Current thinking, new directions, and research frontiers. *Geography Compass*, 8(3), 182-197.

Carvajal-Escobar, Y., Quintero-Angel, M., & Garcia-Vargas, M. (2008). Women's role in adapting to climate change and variability.

Clapp, J., Newell, P., & Brent, Z. W. (2018). The global political economy of climate change, agriculture and food systems. *The Journal of Peasant Studies*, 45(1), 80-88.

Diffenbaugh, N. S., & Burke, M. (2019). Global warming has increased global economic inequality. *Proceedings of the National Academy of Sciences*, 116(20), 9808-9813.

Doss, C. (2011). *If women hold up half the sky, how much of the world's food do they produce?* (ESA Working Paper No. 11-04). Rome: Food and Agriculture Organization of the United Nations (FAO).

Food and Agriculture Organization of the United Nations (FAO), (2011), Global Food Losses and Food Waste - extent, causes and prevention.

Glazebrook, T., Noll, S., & Opoku, E. (2020). Gender matters: Climate change, gender bias, and women's farming in the global South and North. *Agriculture*, 10(7), 267

Goh A H. (2012). A literature review of the gender-differentiated impacts of climate change on women's and men's assets and well-being in developing countries. International Food Policy Research Institute, CAPRI Work.

Habtezion, S. (2013). Overview of linkages between gender and climate change. *Policy Brief. United Nations Development Programme, New York*, 20.

Hemmati, M., & Röhr, U. (2009). Engendering the climate-change negotiations: experiences, challenges, and steps forward. *Gender & Development*, 17(1), 19-32.

International Energy Agency (IEA). (2011). *CO₂ emissions from fuel combustion*.

Intergovernmental Panel on Climate Change (IPCC). (2014). [Climate Change: Impacts, Adaptation and Vulnerability](#).

Jost, C., Kyazze, F., Naab, J., Neelormi, S., Kinyangi, J., Zougmore, R., & Nelson, S. (2016). Understanding gender dimensions of agriculture and climate change in smallholder farming communities. *Climate and Development*, 8(2), 133-144.

Kakota, T., Nyariki, D., Mkwambisi, D., & Kogi-Makau, W. (2011). Gender vulnerability to climate variability and food insecurity. *Climate and Development*, 3, 298–309.

Knuttila, Murray. (2016). *Paying for Masculinity: Boys, Men and the Patriarchal Dividend*. Nova Scotia: Fernwood Publishing.

Nellemann, C., Verma, R., & Hislop, L. (2011). *Women at the frontline of climate change: Gender risks and hopes: A rapid response assessment*. United Nations Environment Program, GRID-Arendal.

Okereke, C., & Schroeder, H. (2009). How can justice, development and climate change mitigation be reconciled for developing countries in a post-Kyoto settlement?. *Climate and Development*, 1(1), 10-15.

Quisumbing, A. R. (2010). Do men and women accumulate assets in different ways. *Evidence from rural Bangladesh. Background paper prepared for the FAO State of Food and Agriculture*.

Resurrección, B. P. (2013). Persistent women and environment linkages in climate change and sustainable development agendas. In *Women's Studies International Forum* (Vol. 40, pp. 33-43). Pergamon.

Sheridan, Alison, and Fiona Haslam-McKenzie. (2009). *Revisiting Missed Opportunities: Growing Women's Contribution to Agriculture*. Canberra: Rural Industries Research and Development (RIRDC) Publication 09/083

Shortall, Sally. (2006). Gender and Farming: An Overview. In *Rural Gender Relations: Issues and Case Studies*. Edited by Bettina B. Bock and Sally Shortall. Oxfordshire: CABI Publishing, pp. 19–26.

State Commision on Migration issues, (2015), [2015 Migration Profile of Georgia](#), Tbilisi.

Tibesigwa, B., Visser, M., Hunter, L., Collinson, M., & Twine, W. (2015). Gender differences in climate change risk, food security, and adaptation: a study of rural households' reliance on agriculture and natural resources to sustain livelihoods.

Torquebiau, Emmanuel, Jose Tissier, and Jean-Yves Grosclaude. (2015). How Climate Change Reshuffles the Cards for Agriculture. In *Climate Change and Agriculture Worldwide*. Edited by Emmanuel Torquebiau. London: Springer, pp. 1–16.

Tschakert, P., & Machado, M. (2012). Gender justice and rights in climate change adaptation: Opportunities and pitfalls. *Ethics and Social Welfare*, 6(3), 275-289.